

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი N10

ქ. თელავი

18.11.2020 წელი

თავმჯდომარეობდა: დავით გოგოშვილი

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ტიტე დარეჯანიშვილი; ლევან მრელაშვილი; ალექსანდრე შათირიშვილი; ნანა ხვისტანი; ზურაბ ლილუაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: დეპუტატები - მაია მარკოზაშვილი; იოსებ პარწიკანაშვილი. ასევე ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის უფროსი - ტარიელ გალახვარიძე; საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - ლია ფარსადანიშვილი; საკრებულოს საორგანიზაციო განყოფილების უმცროსი სპეციალისტი - ნინო ასანაშვილი; საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პიარის სპეციალისტი - ნიკოლოზ ესიტაშვილი; თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ნათია ვაყელიშვილი;

თავმჯდომარემ კომისიის სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა დღის წესრიგი

დღის წესრიგი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის კვარტალური (9 თვის) მიმოხილვის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი - დ. გოგოშვილი.

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის კვარტალური (9 თვის) მიმოხილვის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვას: დ. გოგოშვილმა ზოგადად ისაუბრა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით და განმარტებები მოსთხოვა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს - ნ. ვაყელიშვილს.

მან ისაუბრა ბიუჯეტის მაჩვენებლებზე. კერძოდ, შემოსულობების და გადასახდელების ნაწილში რა სირთულეები შეიქმნა არსებული პანდემიიდან გამომდინარე. ასევე ისაუბრა 01 ოქტომბრისთვის არსებულ ნაშთზე, რომელიც ითვალისწინებს არსებული ვალდებულებების ასანაზღაურებელ თანხებს და თავისუფალ ნაშთს.

ზურაბ ლილუაშვილმა კითხვით მიმართა, თუ რა რაოდენობით ნაშთი შეიძლება დარჩეს წლის ბოლოსთვის მუნიციპალიტეტს? რაზეც ნ. ვაყელიშვილმა განუმარტა,

რომ მიმდინარეობს სამუშაოები, ასევე გამოცხადებულია ტენდერები, ამიტომ წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია.

გადაწყვეტის: კომისიის წევრებმა თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის კვარტალური (9 თვის) მიმოხილვა შეაფასა დამაკმაყოფილებლად (თან ერთვის) და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე



დ. გოგოშვილი

შ ე ფ ა ს ე ბ ა

თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის კვარტალური (9 თვის) მიმოხილვის შესახებ

2020 წლის 18 ნოემბერს, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ განხილულ იქნა „თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის კვარტალური (9 თვის) მიმოხილვა“

წარმოდგენილი მიმოხილვის მიხედვით „ თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის კვარტალური (9 თვის) შემოსულობების გეგმა შესრულდა 79,65%-ით, ხოლო გადასახდელების გეგმა (მ.შ. ვალდებულებების კლების გათვალისწინებით) - 76,28%-ით

თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ნაშთი 2020 წლის 01 ოქტომბრისთვის შეადგენდა - სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერიდან, მიზნობრივი ტრანსფერიდან და სხვა ტრანსფერებიდან - 1540,02 ათ. ლარს, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან - 6129,87 ათ. ლარს. რომელიც ითვალისწინებს აღებული ვალდებულებების ასანაზღაურებელ თანხებს და თავისუფალ ნაშთს.

„თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის კვარტალური (9 თვის) მიმოხილვა“ კომისიამ შეაფასა დამაკმაყოფილებლად.